ხელშეკრულება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ შორის

ქ. ზუგდიდი 10 თებერვალი 2025 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მამუკა წოწერიას (იურიდიული მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, საიდენტიფიკაციო კოდი: 220418956) სახით (შემდგომში „პირველ მხარე"–დ წოდებული) დამეორეს მხრივ, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი"-ს, წარმოდგენლი სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის დირექტორის ვახტანგ ბერიშვილის სახით (შემდგომში ,,მეორე მხარე"), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი," „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №30 დადგენილება, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 თებერვლის N3 დადგენილება.

2. ხელშეკრულების საგანი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, განსაკუთრებით მძიმე სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის მიზნით, გაზგამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების ღირებულების 400 (ოთხასი) ლარით დაფინანსება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამით გათვალისწინებული სახსრებიდან (ქვეპროგრამის კოდი 06 02 11). სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვროს 72 000.00 (ოცდათოთხი ათასი) ლარით.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

1. „პირველი მხარის" წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი „მეორე მხარის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი გოგი რევია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორების განყოფილების ხელმძღვანელი; თამაზ ხარგელია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის III რანგის პირველი კატეგორიის სამშენებლო ინსპექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი, ვახტანგ ვაჩიბერაძე - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის III რანგის I კატეგორიის სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.
2. ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
3. ინსპექტირების ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე კონტროლი, შეადგინოს ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების აქტები.

4. მხარეთა ვალდებულებები

1. პირველი მხარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია მეორე მხარისათვის გადაგზავნილი დოკუმენტაციის (მოქალაქეთა განცხადებების ერთობლივი სია) შესაბამისად თვის განმავლობაში შესრულებულ მომსახურებაზე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოახდინოს გაზის მონტაჟის ღირებულების გადარიცხვა შპს „სოკარ ჯორჯია გაზის" კუთვნილ ანგარიშის ნომერზე სს „საქართველოს ბანკი" ანგარიშის ნომერი GE63BG0000000162448486 (შემოტანის დანიშნულება: მიერთების საფასური (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი).
2. მეორე მხარე შპს „სოკარ ჯორჯია გაზი" ვალდებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან გადმოგზავნილი დოკუმენტაციის (მოქალაქეთა განცხადებების ერთობლივი სია) შესაბამისად მოახდინოს თითოეული ოჯახის გაზიფიცირების საკითხის შესწავლა და დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეასრულოს სამუშაოები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და ვადების შესაბამისად და ყოველი თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შესახებ, მომდევნო თვის 10 რიცხვამდე მიაწოდოს შესაბამისი დოკუმენტაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას რეაგირებისათვის.

5. სახელშეკრულებო ვადა

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. სხვა დებულებანი

1. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისადწინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლიარი რჩება მერიაში, მესამე ეგზემპლიარი გადაეცემა მეორე მხარეს.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმებით წერილობითი ფორმით.

7. მხარეთა ხელმოწერები:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია საიდენტ. კოდი: 220418956	შპს „სოკარ ჯორჯია გაზი: საიდენტ.კოდი :202403121
მის : ქ.ზუგდიდი. ზ. გამსახურდიას ქუჩა №45	მის: ქ. თბილისი, 300 არაგველის 24
მამუკა წოწერია	ვახტანგ ბერიშვილი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი	შპს" სოკარ ჯორჯია გაზის" სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის დირექტორი